ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 224

ქალაქი ქუთაისი 25 სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის
ინფორმაცია 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28–ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინფორმაცია 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

(საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის ინფორმაცია 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის შესახებ წინამდებარე განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2019 წლის 25 სექტემბრის
№ 224 განკარგულების დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის
ინფორმაცია 2019 წლის ცხრა თვეში გაწეული მუშაობის
შ ე ს ა ხ ე ბ

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

კომისია შედგება თექვსმეტი წევრისაგან.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს და საკრებულოს წარუდგენს სამართლებრივი აქტების პროექტებს. საკრებულოს სხდომამდე, აქტიურად იხილავს მის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს და შესაბამის დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს ბიუროს სხდომას. კომისია უზრუნველყოფს ამა თუ იმ უძრავი, ან მოძრავი ქონების ორგანიზაციისათვის, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირისათვის გადაცემის შესახებ პროექტების დამუშავებასა და დასკვნების მომზადებას. სერიოზული ყურადღება ეთმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხისა და გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვას.

ბოლო ცხრა თვის განმავლობაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ჩატარებული აქვს 11 სხდომა, განხილულია სულ 76 საკითხი, რომლებზეც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, ყველა მათგანთან დაკავშირებით შემუშავებულ იქნა დასკვნები.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კომისიის სხდომებზე ისმენს მერიის შესაბამისი სამსახურების ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ და ახორციელებს მონიტორინგს მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე. მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში ჩატარებულ გეგმიურ სხდომაზე საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ მოისმინა ინფორმაცია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის – ზედამხედველობის სამსახურის მიერ, მიმდინარე წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ, გარევაჭრობის პრობლემის აღმოფხვრის გზებისა და გატარებული ღონისძიებების, უნებართვო მშენებლობისა და სანებართვო პირობების დარღვევის შედეგად მოქალაქეთა დაჯარიმებით, ასევე გარე რეკლამის იჯარით თუ სხვა ტიპის მოსაკრებელით, ქალაქის ბიუჯეტში აკუმულირებული თანხების რაოდენობის შესახებ და დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიში. მიმდინარე წლის 19 აგვისტოს გაიმართა ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელზეც მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად განხილულ იქნა მნიშვნელოვანი საკითხები, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შევიდა რიგით მეშვიდე ცვლილება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციის პროგრამას დაემატა 26 300 ლარი, ეს თანხა გამიზნულია გელათის ქუჩის მეოთხე ჩიხში არსებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაციისათვის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი გაიზარდა 135000 ლარით, გრანტები – 2000 ლარით, არაფინანსური მუხლი – 63000 ლარით,

სოციალური უზრუნველყოფის მუხლი – 20000 ლარით, მერიის სარეზერვო ფონდი – 50000 ლარით, გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების პროგრამა – 200000 ლარით, ამ თანხით იგეგმება წმინდა საბას ქუჩის, ასევე, მესხისა და ორბელიანის ქუჩების რეაბილიტაცია. მემორიალური დაფების პროგრამა გაიზარდა 31000 ლარით, კულტურული ღონისძიებების დაფინანსება-50 000 ლარით, ამ პროგრამებზე დამატებითი თანხები გამოიყო-ნაწილი შიდა ეკონომიების, ხოლო ნაწილი ბიუჯეტის გაზრდის ხარჯზე. ჯამში ბიუჯეტი გაიზარდა 250000 ლარით და შეადგინა 73 მილიონი. ამ და მგავსი ტიპის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის პროცესში საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია იღებს აქტიურ მონაწილეობას.

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ განიხილა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული განკარგულების პროექტები: „ქალაქ ქუთაისში, ვ.კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებისა“ და „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გზისათვის (საკადასტრო კოდი 03.04.32.749) რევაზ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“. კომისიამ საქართველოს მთავრობის ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად, შეიმუშავა დადებითი დასკვნები აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების განხილვის შედეგად, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურულ პრობლემებს, კერძოდ: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, „ტრენაჟორებისა“ და სკვერების მოწყობა, შემზღუდავი ბარიერების სამაგრი სამუშაოები, გარე განათების დამონტაჟება, მცოცავი მიწისა და ფასადის სამაგრი სამუშაოები, გზის საფარის მოწყობა და ა.შ. დახმარება გაეწია 30-მდე მოქალაქეს. სააღდგომო ნობათები გადაეცათ სოციალურად გაჭირვებულ ოჯახებს, ასევე დაკმაყოფილებულ იქნა 63 მოქალაქის განცხადება მატერიალურ დახმარებასთან დაკავშირებით. განხორციელდა საკანდელიძის, იაშვილის, ლერმონტოვის, ვარლამიშვილის, ფალიაშვილის, ლორთქიფანიძის, გ.ტაბიძისა და ტ.ტაბიძის ქუჩების კეთილმოწყობა, გზის შემაფერხებელი ბარიერები განთავსდა ხახანაშვილის, წერეთლისა და სარაჯიშვილის ქუჩებზე, მერიის წინამდებარე სკვერში, წერეთლის ქუჩის მე-6 ჩიხში, ასევე, წერეთლის ქუჩის N23, ჩეჩელაშვილის ქუჩის მე-3 შესახვევის N8, სარაჯიშვილის ქუჩის №51, №37, თამარ მეფის ქუჩის მიმდებარედ არსებულ სკვერში დაიდგა ძელსკამები, გარე განათების ბოძი განთავსდა თბილისის ქუჩის მე-2 ჩიხში, განხორციელდა სათიბი, შეწამვლითი, ღვარსადენებისა და ცხაურების გაწმენდითი სამუშაოები, შეკეთდა ორმოები და კეთილმოეწყო ეზოები რომევიჩის, ფალიაშვილის, ვარლამიშვილის, ჩეჩელაშვილისა და ლომონოსოვის ქუჩებზე.

შენიშვნა: წინამდებარე ინფორმაცია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 24-ე სხდომაზე, მ/წლის 25 სექტემბერს, წარმოდგენილ იქნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარის, გიორგი ჭეიშვილის მიერ.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია